ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №60
2018 წლის 3 აგვისტო

ქ. ლაგოდეხი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი.

მუხლი 2

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი განისაზღვროს:

1. ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

2. ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობისას, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა II კლასის ობიექტებისთვის შეადგენს 50 ლარს, III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარს, ხოლო IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარს.

3. ხაზობრივი ნაგებობებისათვის (წყალსადენი, გაზსადენი, ელ. გადაცემის ხაზები, ელ. კავშირი, არხები და სხვა) – თითოეული გრძივი მეტრისთვის – 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

მუხლი 3

მოსაკრებლის თანხა მთლიანად ჩაირიცხოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბერიდან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — კარლო ჯამბურია